ხაშურის მოამბე

№34 (455) 9 სექტემბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ა ს ი ა ნ ე ბ ი

მივიდნენ, ნახეს, გაიმარჯვეს - ეს, ანტიკური ხანის, ინტერპრირებული სენტენცია აბსოლუტურად მოერგება ამ ბავშვებს, არა მარტო მოერგება, ზუსტად ჯდება მათ ნამოქმედარში. იგივე ანტიკური ხანის სპასპეტი ასეთ დროს იტყოდა: - გავიმარჯვე დანაკარგის გარეშე... ზემოთ ბავშვები ვახსენე, ეს ისე, ინერციით მოყოლილი სიტყვაა, თორემ მათი ბავშვობა უკვე უკან დარჩა, ახლა სტუდენტები არიან - ყველაზე საოცარი, ყველაზე საოცნებო, ყველაზე ულამაზესი დრო მათ ცხოვრებაში. იწყება შეუცნობლის შეცნობა, იწყება ასტრალისკენ მომავალი ბილიკის გაკვალვა, ბილიკის, რომელმაც ისინი დიდ ტაძარში უნდა მიიყვანოს, ამ ტაძარს კი სამშობლოს სამსახური ჰქვია.

ლაღები, ლამაზები, ნიჭიერები, ერუდირებულები, ინტელექტუალები... ყველა დადებითი ეპითეტი მემეტება მათთვის. ჯერ ხომ სკოლაში იყვნენ სამაგალითოები და მისაბაძები, ახლა, აგერ, მთელი საქართველოს მასშტაბით ისახელეს თავი და იმ სტუდენტებს შორის მოხვდნენ, ვინც სახელმწიფოსგან სწავლის საფასურის 100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღეს. დიდი შრომა იყო ამ შედეგის უკან, იყო წიგნზე გათენებული ღამეებიც, მაგრამ სხვაგვარად როგორ? აგერ, ეს შრომა დაუფასდათ კიდეც.

მოდით, გაგაცნობთ ჩვენს „ასიანებს“ და შემდეგ ისევ განვაგრძოთ:

მარიამ პრისიაჟნიკოვი - სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ხაშურის #6 საჯარო სკოლა;

თამუნა ლომუაშვილი - სსიპ ქალაქ ხაშურის #1 საჯარო სკოლა;

ანა ტაბატაძე - სსიპ ქალაქ ხაშურის #1 საჯარო სკოლა;

მარიამ რიკაძე - სსიპ დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის #2 საჯარო სკოლა;

ნიკოლოზ ლომსაძე - სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა;

თორნიკე გოგალაძე - სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის #3 საჯარო სკოლა;

ნინო ცნობილაძე - სსიპ ქალაქ ხაშურის #4 საჯარო სკოლა;

ნინი ჩადუნელი - სსიპ ქალაქ ხაშურის #4 საჯარო სკოლა;

ბარბარე ცხადაძე - სსიპ ლესია უკრაინკას სახელობის დაბა სურამის #3 საჯარო სკოლა;

კესო ღონღაძე - სსიპ დიმიტრი ყიფიანის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთის საჯარო სკოლა;

მარიამ ქელეხსაშვილი - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა;

აი, ის კოჰორტა, აი, ის ფლაგმანი 2023 – 2024 სასწავლო წლების კურსდამთავრებულების. ახლა ამათ ათეულობით ე. წ. 70 და 50 პროცენტიანები მიუმატეთ და ვისაც ხაშურზე და მთელ მუნიციპალიტეტზე შავი აზრი აქვთ, ანახეთ ესენი. რთულია, მთელი საქართველოს მასშტაბით, სტატისტიკის მოძებნა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მუნიციპალიტეტებს შორის, ამ წარმატებული ბავშვების სიმრავლით, პირველ ხუთეულში მაინც ვიქნებით.

თავს ვხრით მათ წინაშე, თავს ვხრით მათი პედაგოგების წინაშე, მადლობა თქვენ და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მუდამ გვეიმედებით.

P.S. სამწუხაროდ, 11 „ასიანიდან“ ფოტოსურათისათვის მხოლოდ 9მათგანის შეკრება მოვახერხეთ, რადგან ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები საკმაოდ გვიან გამოცხადდა და ამ ეტაპზე, ზოგს სწავლა დაეწყო, ზოგი კი - მუნიციპალიტეტის ფარგლებს იყო გაცილებული. თუმცა, რედაქცია ეცდება, თითოეული მათგანი, შემდეგში, პერსონალურად გაგაცნოთ.

გოგი გოგალაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სესია

5 სექტემბერს, საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

საკრებულომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტები სსიპ „სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს, სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ხაშურის მუნიციპალური განყოფილებისათვის“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ფართის დროებით სარგებლობით, ასევე, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა.

მოისმინა და დადებითად შეაფასა მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 46

2024 წლის 30 აგვისტო, ხაშური

2024 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნებისათვის (საქართველოს პრეზიდენტის 2024 წლის 27 აგვისტოს N 27/08/02 განკარგულება) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლი აწესებს ცალკეულ შეზღუდვებს, კერძოდ, კრძალავს სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრას. იმავდროულად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალდებულებს წინასაარჩევნოდ უზრუნველყონ თითოეული პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის თუ კანდიდატის სააგიტაციო

პროცესის წარმართვის შესაძლებლობა და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის თვალსაჩინო ადგილებზე გასაკრავად, რათა ამომრჩევლები ინფორმირებულები იყვნენ თითოეული საარჩევნო სუბიექტის პროგრამისა და პლატფორმის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს დაკმაყოფილდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თხოვნა და გამოიყოს ადგილები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კიდექსის“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 108-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

გამოიყოს ადგილები ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო შეხვედრების ჩასატარებლად, სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად დანართი №1-ის შესაბამისად;

ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გამოსაკრავად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით;

ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60სმ, სიგანე არაუმეტეს 42სმ (A2 ფორმატით);

ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ ადგილას, საარჩევნო სუბიექტების მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 1 ცალით;

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge ;

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი

დანართი №1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების გასაკრავად შერჩეული ადგილები

ხაშურში:

1.ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არაუმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

დაბა სურამში:

1.კინოთეატრის მიმდებარე ტერიტორია;

2.კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია;

3.ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არაუმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ე.წ ყოფილი სოფლის კულტურის სახლების, კლუბების და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის განთავსებული ღამის განათების ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლემდე დაშვებით, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ. მოწყობილობებთან არაუმეტეს 1 მეტრის სიახლოვისა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების მიერ შეიძლება საარჩევნო ღონისძიებები ჩატარდეს შემდეგ შენობებში:

ხაშურში:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების შენობა, მის: ხაშური, თამარ მეფის ქ. №1.
2. ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანების შენობა, ხაშური, რუსთაველის ქუჩა, ჩიხი 2 № 6 .

დაბა სურამში:

1. კოსტავას ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში:

ე.წ სოფლის ყოფილი კულტურის სახლებსა და კლუბებში.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28,29,30,31,32,33)

,,ასეთია ჩვენი რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა“, - აღნიშნავდა გაზეთი და მის ფურცლებზე ნიაღვარივით წამოვიდა სხვადასხვა ორგანიზაციების, მუშა-მოსამსახურეების და მშრომელი გლეხების მოთხოვნები. იმართებოდა სახელდახელო მიტინგები, რომლის მონაწილენიც მოითხოვდნენ საკადრისი პასუხი მიეზღოთ მტრებისათვის.

1 მარტს გაიმართა ლ. ბერიას სახელობის ხაშურის რკინიგზის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, რომლის მონაწილეებიც მოითხოვდნენ დამნაშავეთა დასჯას, ამავე დროს პირობას იძლეოდნენ, რომ კიდევ უფრო აამაღლებდნენ რევოლუციურ სიფხიზლეს და გადაჭარბებით შეასრულებდნენ საწარმოო დავალებებს. ,,ფაშიზმის პირსისხლიანმა აგენტებმა ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეებმა ჩვენი ქვეყნის წინაშე უსაზიზღრესი დანაშაული ჩაიდინეს. ისინი ჰყიდნენ საბჭოთა კავშირს, ხოცავდნენ ღირსეულ ადამიანებს. მათ მოკლეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანები: კიროვი, კუიბიშევი, მენჟინსკი, გორკი და სხვა. მშრომელი ხალხის მტრები უნდა მოისპონ, პროლეტარული სასამართლო, რომელიც ამჟამად ასამართლებს მათ, ღირსეულ სასჯელს მიუზღავს.

ჩვენ საკუთარი მკერდით დავიცავთ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ძვირფას მონაპოვარს, რკინის კედლად გარს შემოვერტყმევით ხალხთა საყვარელ ბელადს - დიდ სტალინს, კიდევ უფრო ავამაღლებთ რევოლუციურ სიფხიზლეს და საწარმოო დავალებას 150%-ით შევასრულებთ“. იმავე დღეს ჩატარდა სავაგონო დეპოს მუშა-მოსამსახურეთა მიტინგიც. ცნობამ, ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ ვერაგული მოქმედების შესახებ, მუშები უდიდესი მრისხანებით აღავსო” და ,,მათ ერთხმად მოითხოვეს სამშობლოს გამცემელთა ბანდის დახვრეტა”. სადგურ ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელოდ გამართული მიტინგის მონაწილეებმა ,,ერთხმად მოითხოვეს ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა განადგურება“.

2 მარტს ხაშურის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეებმა გამოთქვეს თავიანთი გულისწყრომა: ,,...მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილენი, პირსისხლიანი ფაშიზმის მოსყიდული აგენტები ცდილობდნენ სსრ კავშირის ხალხთა ერთიანი ოჯახის განადგურებას, სამგზის წყეულები ბინძური ზრახვების მისაღწევად არაფერს ზოგავდნენ, მაგრამ მათ დანაშაულზე წაუსწრეს. ისინი საბჭოთა ქვეყნის ფოლადის ქუსლით უნდა გაისრისონ“.

გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიტინგი გაიმართა რკინიგზის მოზარდთა სრულ საშუალო სკოლაში. აქაც ყველა გამომსვლელი ერთხმად მოითხოვდა ხალხის მტრების განადგურებას.

4 მარტს, ცვლებსა და ბრიგადებში კვლავ გაიმართა სახელდახელო მიტინგები ელდეპოში. გამოსული ამხანაგები ,,ერთხმად მოითხოვდნენ ხალხის გათახსირებული მტრების ფიზიკურ განადგურებას.

-არავითარი შებრალება ფაშიზმის პირსისხლიან აგენტებს, სამშობლოს გამცემლებს. გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი შხამიანი გველებისაგან! –ასეთია ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვანი მოთხოვნა“.

სავაგონო დეპოს ცვლებსა და ბრიგადებშიც გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა მიტინგები. აქაც, მიტინგზე, გამოსული ამხანაგები ,,მტრებისადმი უდიდესი გულისწყრომითა და სიძულვილით აღნიშნავდნენ, რომ ფაშიზმის აგენტები: ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა და სხვები თავიანთი ბინძური ზრახვების განხორციელებისათვის ყველა საზიზღრობას მიმართავდნენ.

-ჩვენ მოვითხოვთ მკვლელთა, ჯაშუშთა, გამცემელთა, ,,მემარჯვენე ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეთა განადგურებას! – ასეთია მათ მიერ მიღებული რეზოლუცია“.

რაიმიწგანის, სოფმომარაგების და წყალთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა მიტინგმა ერთხმად მოითხოვა ,,გარეწრები, რომლებსაც ადამიანის ყოველგვარი მსგავსება დაკარგული აქვთ, უნდა მოისპონ, მათ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს ბედნიერ საბჭოთა მიწაწყალზე”.

პჩ/5-ს მუშა-მოსამსახურენი მოითხოვდნენ ,,ფაშისტური ქვეყნების დაქირავებული ჯაშუშები: ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა, ზელინსკი და სხვები აღგვილი უნდა იქნან პირისაგან დედამიწისა“.

სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 13 მარტს გამოიტანა განაჩენი ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ საქმეზე. 16 მარტს, ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ განაჩენს თან ახლავს გამოხმაურებები.

14 მარტს რკინიგზის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა მიტინგზე გამოსულები ,,ერთხმად გამოთქვქმდნენ აღფრთოვანებას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს განაჩენის გამო. მათ პირობა დადეს, რომ ხალხის ამ უსაზიზღრეს მტრებს პასუხად გააძლიერებენ მუშაობას, არ დაუშვებენ ავარიებს და საწარმოო გეგმებს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულებენ.

ჩვენ, მხურვალე სალამს უძღვნით სახელოვან შინსახკომელებს და სტალინურ სახალხო კომისარს ნიკოლოზ ჟუკოვს, რომლებმაც გამოავლინეს ღრმად შენიღბული მტრები, პირობას ვდებთ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ დიადი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო“.

15 მარტს ხაშურის რაიაღმასკომის მუშა-მოსამსახურეები გამოეხმაურენ სასამართლოს განაჩენს. მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია: ,,ჩვენ, მთელს ჩვენს ქვეყანასთან ერთად ღრმა კმაყოფილების გრძნობით მივესალმებით სსრ კავშირის უმაღლეს, სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენს ,,მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შეთქმულთა მიმართ. კიდევ უფრო დავირაზმებით ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო და საწარმოო-საფინანსო გეგმებს გადაჭარბებით შევასრულებთ“.

რკინიგზის სამასალო საწყობის მუშა-მოსამსახურეებიც სიხარულით შეხვდნენ ხალხის მტრების მიმართ უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. ,,ფაშისტურ ბანდას პროლეტარულმა სასამართლომ ღირსეული სასჯელი მიუზღო. დეე, ყველამ იცოდეს, რომ ვინც ხელს შეუშლის კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, ის ისეთივე პასუხს მიიღებს, როგორიც მიიღეს ნ. ბუხარინმა, ა. რიკოვმა, გ. იაგოდამ და სხვებმა”, - აღნიშნავენ ისინი.

საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის ბიუროს 1937 წლის 5 ივლისის დადგენილებით პარტიიდან გარიცხული იქნა შ. ნებიერიძე. 1937 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით შ. ნებიერიძეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და აგიტაციისთვის მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

სსრკ უმაღლესი საბჭოს საგამომძიებლო სასამართლო კოლეგიის 1956 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გაუქმებულია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეულის 1937 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება შ. ნ ნებიერიძის მიმართ საქმე შეწყვეტილია დანაშაულის არ არსებობის გამო.... რეაბილიტირებულ იქნა შ. ნებიერიძე პარტიის ხაზითაც....

იპოლიტე ილიას ძე ქურდაძე 1929 წლის 12 ოქტომბერს გაირიცხა სკკპ რიგებიდან წმენდასთან დაკავშირებით, როგორც არაკომუნისტური ელემენტი. საქართველოს კპ ცკ-მა დაადასტურა ი. ი. ქურდაძის სკკპ რიგებიდან გარიცხვა მენშევიკურ ორგანიზაციაში არალეგალური მოღვაწეობის ბრალდებით.

1931 წლის 12 თებერვალს ი. ი. ქურდაძე დაკავებულ იქნა შინსხკომის მიერ ანტისაბჭოური მოღვაწეობისთვის და 30 აპრილს მიესაჯა სამი წლით გადასახლება, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა.

საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საგამომძიებლო განყოფილებისა და რესპუბლიკის პროკურატურის 1989 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ი. ქურდაძე რეაბილიტირებულ იქნა დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო.

1936 წელს პარტიული დოკუმენტების შემოწმებისას, ა/კ რკ. ხაშურის კვანძის პარტიულმა კომიტეტმა პარტბილეთი ჩამოართვა კონდუქტორ დავით ფარსადანის ძე გელაშვილს. გარიცხეს პარტიის რიგებიდან, რადგან ბრალდებად წაუყენეს 1918-1921 წლებში მენშევიკურ პარტიაში მოღვაწეობა. საქ. კპ პარტკოლეგიამ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება.

1936 წელს დ. ფ. გელაშვილმა ორჯერ მიმართა უმაღლეს ორგანოებს პარტიის რიგებში აღდგენისათვის, მაგრამ მისი თხოვნა არ განხილულა გაუგებარი მიზეზის გამო. ორი წლის შემდეგ ა/კ რკ. სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა დ. ფ. გელაშვილი აღადგინა პარტიაში, მაგრამ 1938 წლის 18 აპრილს დააპატიმრეს და ანტისაბჭოური პროპაგანდისა და აგიტაციისთვის შინსახკომის სამეულის გადაწყვეტილებით 21 აპრილს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

1956 წლის 3 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით დ. გელაშვილის მიმართ გაუქმდა 1938 წლის 21 აპრილის განაჩენი დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო.

საქართველოს კპ ცკ ბიუროს 1990 წლის 10 სექტემბერს დადგენილებით რეაბილიტირებულნი არიან: გიორგი იოსების ძე გიგაშვილი, სიკო (სიმონ) გიორგის ძე ჯებისაშვილი, მიხეილ გიორგის (იაგორის) ძე ქურდაძე, სერგო მიხეილის ძე ქურდაძე, ალექსანდრე დავითის ძე ხვადაგიანი, გიორგი ვარლამის ძე ბეღელიძე.

1937-1938 წლებშიხაშურის რაიონიდან რეპრესირებულები იყვნენ:

№	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაბადების ადგილი	საცხოვრებელი ადგილი	სასჯელის ზომა
1.	ამბაროვი ხორენი ივანეს ძე	1899	ხაშური	10 წელი
2 .	ბაბლიძე სიმონ ესტაფის ძე	1864	ხაშური	დახვრეტა
3.	ბოგდანოვი სერგეი ალექსანდრეს ძე	1892	სურამი	10 წელი
4.	ბაკაშვილი თომა ივანეს ძე	1916	კრისხევი	დახვრეტა
5.	ბარბაქაძე სიმონ სოკრატეს ძე	1911	ხაშური	დახვრეტა
6.	ბარბაქაძე ალექსანდრე სოკრატეს ძე	1885	ხაშური	დახვრეტა
7.	ბეკოშვილი ონეზი ბესარიონის ძე	1916	თხილნარა	დახვრეტა
8.	ბერნიკოვი ივანე ივანეს ძე	1890	ხაშური	10 წელი
9.	ბლიაძე ვასილი სოლომონის ძე	1917	სურამი	დახვრეტა
10.	ბლიაძე რომან ვასილის ძე	1901	ხაშური	10 წელი
11.	ბლიაძე მიხეილ ზაქარიას ძე	1901	ხაშური	დახვრეტა
12.	ბოსიკაშვილი იოსებ ალექსის ძე	1904	ს. ყობი	10 წელი
13.	ბრეგვაძე პლატონ ექვთიმეს ძე	1894	სურამი	დახვრეტა
14.	გეგიაძე ბენიამინ ანტონის ძე	1900	ხაშური	10 წელი
15.	გელაშვილი სერგო ალექსის ძე	1883	ჩუმათელეთი	10 წელი
16.	გელაშვილი დავით ფარსადანის ძე	1894	ხაშური	დახვრეტა
17.	გერმანაშვილი ალექსანდრე შიოს ძე	1899	ხაშური	10 წელი
18.	გოგიევი მიხეილ თეიმურაზის ძე	1907	ხაშური	დახვრეტა
19.	გოგინაშვილი-პოვრიშვილი იოსებ გიორგის ძე	1886	სურამი	დახვრეტა
20.	გოგოლაძე გიორგი ალექსანდრეს ძე	1906	ს. ქაშვეთი	დახვრეტა
21.	გოგოლაძე ლეონტი გიორგის ძე	1891	ს. წაბლოვანა	დახვრეტა
22.	გურეშიძე იოსებ ირაკლის ძე	1904	ხაშური	10 წელი
23.	ელისაშვილი ვლადიმერ დიმიტრის ძე	1901	ს.სავანისუბანი	10 წელი
24.	ვეფხვაძე შალვა კონსტანტინეს ძე	1899	ხაშური	საქმე გადაეც. სპეცკოლეგ.
25.	თედიაშვილი გიგუცა მუტის ძე	1917	ს.კრისხევი	10 წელი
26.	თომაძე ნოე გიორგის ძე	1909	ხაშური	10 წელი
27.	კაბერაშვილი სიმონ ნიკოლოზის ძე	1895	ს.ყელეთი	დახვრეტა
28.	კალანდაძე პროკოფი ფირანის ძე	1893	ხაშური	10 წელი
29.	კალანდაძე სერგო ლუკას ძე	1902	ხაშური	10 წელი
30.	კაპანაძე მიხეილ ივანეს ძე	1900	ხაშური	დახვრეტა
31.	კაჭარავა ალექსანდრე დიმიტრის ძე	1910	ხაშური	10 წელი
32.	კვირიკაშვილი ნიკოლოზ მელიტონის ძე	1864	სურამი	დახვრეტა
33.	კიწმარეიშვილი ალექსანდრე ალმასხანის ძე	1901	ს. გომი	10 წელი
34.	კლიმიაშვილი სერგო პლატონის ძე	1898	სურამი	დახვრეტა
35.	კრიხელი ბესარიონ მიხეილის ძე	1907	სურამი	დახვრეტა
36.	ლაბაძე დავით ალექსის ძე	1899	ხაშური	დახვრეტა
37.	ლაღიძე გიორგი სიმონის ძე	1908	ს. ტეზერი	დახვრეტა
38.	ლაცაბიძე ალექსანდრე ზაქარიას ძე	1898	ხაშური	დახვრეტა
39.	ლაცაბიძე ვლადიმერ ალექსის ძე	1905	ხაშური	დახვრეტა
40.	ლომიძე ალექსანდრე სოლომონის ძე	1903	ხაშური	დახვრეტა
41.	ლომიძე მიხეილ ბესარიონის ძე	1890	ს.ქაშვეთი	10 წელი
42.	ლომიძე ვასილ დავითის ძე	1895	სურამი	10 წელი
43.	მაისურაძე ვლადიმერ სპირიდონის ძე	1886	ხაშური	დახვრეტა
44.	მანჩხაშვილი ვასილ ივანეს ძე	1907	ს.ტეზერი	10 წელი
45.	მეტრეველი ვასილ ანდრიას ძე	1903	სურამი	დახვრეტა
46.	მიქაბერიძე შალვა ელიზბარის ძე	1886	ხაშური	დახვრეტა
47.	მიქაძე დიმიტრი გრიგოლის ძე	1912	ხაშური	დახვრეტა
48.	მიხაილიდი(მიხაილოვი) დიმიტრი მიხეილის ძე	1892	ხაშური	5 წელი
49.	მიხაილიდი ხრისტოფორე ივანეს ძე	1890	ხაშური	8 წელი
50.	მოსიაშვილი ვანუცა(ივანე) ვასილის ძე	1890	ს. ვაყა	დახვრეტა
51.	მოსიაშვილი იაშა გიორგის ძე	1909	ს. ვაყა	დახვრეტა
52.	მჭედლიძე არჩილ მიხეილის ძე	1906	ხაშური	10 წელი
53.	ნებიერიძე შალვა ნიკოლოზის ძე	1908	სურამი	დახვრეტა
54.	ნოზაძე არჩილ დიმიტრის ძე	1899	ს.ახალსოფელი	10 წელი
55.	ნოზაძე ოლღა სიმონის ასული	1898	ხაშური	8 წელი
56.	ორთოიძე პეპო ხვთისოს ძე	1894	ს.სავანისუბანი	10 წელი
57.	ოსაძე პავლე მიხეილის ძე	1868	ს. გომი	დახვრეტა
58.	ოქრუაშვილი გიორგი ყაფლანის ძე	1897	ს. ცხრამუხა	10 წელი
59.	პატარიძე შალვა იაკობის ძე	1917	სურამი	დახვრეტა
60.	პაქსაშვილი არჩილ დავითის ძე	1914	ხაშური	დახვრეტა
61.	რაკოპიძე ნიკოლოზ გრიგოლის ძე	1904	ს.ქვიშხეთი	10 წელი
62.	რამიშვილი დომენტი ბაგრატის ძე	1905	ს.ლუბრუმა	დახვრეტა
63.	რამიშვილი გიორგი ერასტის ძე	1885	ს.ლუბრუმა	დახვრეტა
64.	საბანაძე გრიგოლ ვასილის ძე	1902	ხაშური	დახვრეტა
65.	სახვაძე ვახტანგ ვიქტორის ძე	1904	ხაშური	10 წელი
66.	სვანიძე გრიგოლ პავლეს ძე	1904	ს. ბრილი	10 წელი
67.	სირბილაძე სერგო ნინიას ძე	1881	ხაშური	დახვრეტა
68.	ტატანაშვილი ტატულა პეტრეს ძე	1919	ს.დიდი სატივე	დახვრეტა
69.	ურიადმყოფელი ივანე მიხეილის ძე	1887	ს.ოსიაური	8 წელი
70.	ურიადმყოფელი ვარდენ დავითის ძე	1906	ს. ოსიაური	დახვრეტა
71.	ფილიშვილი მატეოზ სარდიონის ძე	1919	ს.კრისხევი	დახვრეტა
72.	ფორჩხიძე სერგო ნიკილოზის ძე	1892	ხაშური	დახვრეტა
73	ქელეხსაშვილი ვიქტორ მიხეილის ძე	1921	ს. დიდი	დახვრეტა

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დაათვალიერეს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძესთან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ლომიძესთან და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელ გიორგი პაპიაშვილთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფელ წაბლოვანასა და სოფელ ცედანში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ ეტაპზე ხორციელდება ასფალტის მეორე ფენის დაგება.

პროექტი მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მისი ღირებულება 2 112 853 ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სურამში, ფიროსმანის ქუჩაზე, (პოლიციის მიმდებარედ) სკვერის მოწყობის სამუშაოებიც დაათვალიერეს.

პროექტის განხორციელების შედეგად სურამელები და დაბაში ჩამოსული დამსვენებლები კომფორტული დასასვენებელი სივრცით ისარგებლებენ.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 169961 ლარს შეადგენს.

ნაბახტევში ხიდის რეაბილიტაცია ჩქარა დასრულდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა მერის მოადგილე ზვიად ქურდაძესთან და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელ გიორგი პაპიაშვილთან ერთად სოფელ ნაბახტევში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა.

სოფელში ხიდის რეაბილიტაცია და გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

გზის დამცავი კედლის მშენებლობა მოქალაქეთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. პროექტის ღირებულება 344 740 ლარია.

სოფელ ნაბახტევში ხიდი მდინარე ჭერათხევის ადიდების შედეგად ჩამოიშალა. ხაშურის მუნიციპალიტეტმა ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, შუამდგომლობით მიმართა შიდა ქართლის სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაციას და წარმოადგინა, ექსპერტიზის

დასკვნა, ასევე, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შედეგადაც, ნაბახტევის ხიდის მშენებლობისთვის გამოიყო თანხა. აღსანიშნავია, რომ ნაბახტევის ხიდის ჩამოშლის შემდეგ, მოსახლეობას სოფელთან დამაკავშირებელი ალტერნატიული ხიდით უწევს სარგებლობა, რაც მათთვის გარკვეულ ბარიერებს ქმნის, ამიტომ ძირითადი ხიდის მშენებლობა ადგილობრივებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ნაბახტევის ხიდის მშენებლობა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებელი ფონდიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულება 940 000 ლარს შეადგენს.

ხაშურში, ლესელიძის ქუჩაზე, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ხაშურში, ლესელიძის ქუჩაზე, წყალმომარაგების პროექტის მიმდინარეობის გამო დაზიანებული ასფალტის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება. დღეიდან დაიწყო და მიმდინარეობს საკანალიზაციო ჭების თავსახურების მონტაჟი.

როგორც მოსახლეობას უკვე ვაცნობეთ, სარეაბილიტაციო სამუშაოები დროებითია და მდგომარეობის მყისიერ გაუმჯობესებას ემსახურება.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტი ინტენსიურ მუშაობას განახორციელებს იმ ქუჩების პროექტირების მიმართულებით, სადაც წყალგაყვანილობის სამუშაოები დასრულებულია. მომავალი წლიდან კი დაიწყება აღნიშნული ქუჩების სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოები. მათ შორისაა ლესელიძის ქუჩაც.

ყაზბეგისა და დადიანის ქუჩების სრული რეაბილიტაცია კი უახლოეს პერიოდში, დაიწყება და მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება № 49

2024 წლის 05 სექტემბერი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის ბიუროს სხდომაზე დამტკიცდა საკრებულოს კომისიების წლიური სამუშაო გეგმები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა საკრებულოს მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „3“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს სხდომაზე დამტკიცებას

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ №22 დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „3“ ქვეპუნქტისა და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად. (დანართი თან ერთვის 1 (ერთი) ფურცლად);

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმა

N	საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების დასახელება	განხილვის დრო	მომხსენებელი	პასუხისმგებელი საკითხის მომზადებაზე
1	2	3	4	5
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წლის 9 თვეში გაწეული საქმიანობისა და შეფასების თაობაზე.	03.ოქტ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი	საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2024 წლის 10 თვეში გაწეული საქმიანობისა და შეფასების შესახებ	07.ნოე	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ წყლისა და გამწვანების კომპანიის ანგარიში 2024 წლის 10 თვის საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების, გაწეული საქმიანობისა და შეფასების თაობაზე.	05.დეკ	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ წყლისა და გამწვანების კომპანიის დირექტორი	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

ხაშურის ახალგაზრდულ სივრცეში, ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ბააკაშვილი და სააგენტოს თანამშრომლები ახალგაზრდებს შეხვდნენ.



ვახტანგ ბააკაშვილმა ისაუბრა იმ ძირითად პროგრამებსა და პროექტებზე, რომელსაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და ახალგაზრდობის სააგენტო ახორციელებს.

პროგრამების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტმა, ნინო ყარალაშვილმა ახალგაზრდებს დეტალურად გააცნო ინფორმაცია საგრანტო კონკურსისა და შესაძლებლობის პლატფორმის შესახებ.

ახალგაზრდები ასევე შეხვდნენ ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, ლაშა შავდათუაშვილს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ახალგაზრდებს, მათთვის საინტერესო საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და თავიანთი მოსაზრებების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტი („ხაშურის ახალგაზრდული სივრცის განვითარება ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელებისა და არაფორმალური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“) სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს საგრანტო კონკურსის - „რეგიონული ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ - ერთ-ერთი გამარჯვებულია.

ინფორმაციისთვის: ხაშურის ახალგაზრდული სივრცე 2023 წელს, ახალგაზრდობის სააგენტოს და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა.

- მეწარმე ქალბატონები -

ბიზნესად ქცეული ხელსაქმე

ქრისტინე ჯელაძე39 წლისაა. სკოლა ბაკურიანში დაამთავრა. სწავლობდა უცხო ენების ინსტიტუტში. პროფესიით გერმანული ენის თარჯიმან-რეფერანტია. წლების განმავლობაში მუშაობდა სურამის მეორე საჯარო სკოლის გერმანულის პედაგოგად. ამჟამად, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა რეპეტიტორია და მუშაობს "ალკანში", ბუღალტრის თანაშემწედ. სტუდენტობიდან აინტერესებდა ქარგვა. ქრისტინეს დედა ხევსურია, ფშავიდან და ხელსაქმით გატაცება ქრისტინესათვის გენეტიკური, ოჯახური ტრადიციაც კია.

თავიდან, გართობის მიზნით ქარგავდა, მისთვის ეს საყვარელი ჰობი იყო, მაგრამ როცა პანდემია დაიწყო და ჩაიკეტა სამყაროში გასასვლელი კარი, ქრისტინემ გატაცება ბიზნესად აქცია და საქმეს სერიოზულად მიჰყო ხელი. ქარგავს, ქსოვს, მძივებისგან ქმნის სხვადასხვა ორიგინალურ აქსესუარს. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ხაშურში, კინოს შენობაში წარმოადგინა საკუთარი ნამუშევრები პირველად ხაშურლებისათვის და საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქრისტინე ჯელაძე:

- ქარგვა სტუდენტობის დროს დავიწყე, ძალიან მიყვარდა და მაინტერესებდა, შემდეგ უკვე, პანდემიის დროს, ბიზნესად ვაქციე, გავაკეთე ონლაინ მაღაზია. მინდოდა რაღაცა მეკეთებინა ის ორი წელიწადი, რაც სახლში გამოვიკეტეთ. აქედან დაიწო ყველაფერი, ონლაინ ვიღებდი შეკვეთებს: ჩანთები, ბაფთები, ჩარჩოში ჩასმული სურათები, ტილოს ჩანთები, საბავშვო სათამაშოები, ქუდები. პროდუქტს ვქმნი მომხმარებლის

მოთხოვნიდან გამომდინარე. ჩემი მომხმარებლები არიან ძირითადად ახალგაზრდები და მათი დაკვეთა მოდის ძირითადად აქსესუარებზე. ასევე, ვაგზავნი საზღვარგარეთაც ჩემს ნამუშევრებს, სადაც უკვე შემოდის ქართული თემატიკა: საქართველოს რუკა, დროშა, სურამის ციხე...

მცირე ისტორიული ექსკურსი ხელსაქმის შესახებ: ხელსაქმეს საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. ქსოვა-მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყო განვითარებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. იგი თაობიდან

თაობას გადაეცემოდა. რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი, ხურჯინ-ჯეჯიმები და წინდები ქმრის ოჯახისთვის საჩუქრად მიჰქონდა. ბუნებრივი მატყლის ძაფისაგან საქართველოში უძველესი დროიდანვე იქსოვებოდა: შალის ქსოვილები, ხალიჩები, ფარდაგები, ყაჯარ-ჯეჯიმები; ქსოვდნენ ასევე აბრეშუმისა და ბამბის ძაფისაგან. გარდა ამისა, გავრცელებული იყო სელის ძაფისაგან დამზადებული ქსოვილებიც. იქსოვებოდა ყდაზე, ყაისნაღით, ჩხირებითა და ასევე სხვა წესებით. ნაქსოვი და შეკერილი სამოსი კი ბოლოს იქარგებოდა.

როგორც გითხარით, ქრისტინეს დედა ხევსურია. ქრისტინეს დიდი ბებიაც ისტორიული, მთაში გავრცელებული და დამკვიდრებული ხელსაქმით ყოფილა დაკავებული, ხალიჩებს ქსოვდა ხევსურული ორნამენტებით.

- დედა მყავს ხევსური, ფშავიდან, გოგოლაური და ქსოვს თუშური ორნამენტებით, ხალიჩებს ქსოვდა დედაც და ქუდებს ხევსურული ორნამენტებით. რამდენიმე ხნის წინ ათონის მთაზე, მამაოებთან გავაგზავნეთ ჩვენი ხელით მოქსოვილი ქუდები მე და დედიკომ.

ქრისტინებს ნამუშევრები უფრო მეტად სუვენირებად რეალიზდება. მისთვის ქარგვა ერთგვარი რელაქსია, საღამოობით შესასრულებელი აუცილებელი რიტუალი, რომელიც მის ცხოვრებას ავსებს და აფერადებს.

- ვქარგავ ჯვარედინი, წყალზე ნაქარგი, ხევსურული სტილით. ვქარგავ ორნამენტებს, სურათებს. თავდაპირველად იხატება, შემდეგ იქარგება. ხატვის დროს, მეხმარება ჩემი გოგონაც. ქარგვა ოჯახის წევრებსაც ვასწავლე, თუმცა, მათთვის არ გადაქცეულა გატაცებად... ჩემთვის კი ხელსაქმე დასვენებაა, საღამოს, სამუშაო საათების შემდეგ, როცა ოჯახის წევრები იძინებენ, ვჯდები, ვუყურებ ფილმს და ვიწყებ ქარგვას. ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი განტვირთვა.

ქრისტინე ჯელაძე ამ ეტაპზე ინდმეწარმეა და ძირითადად საკუთარი ნამუშევრების ონლაინ გაყიდვებით არის დაკავებული. ამავდროულად ,მონაწილეობას იღებს გამოფენებში. ბოლოს მისი ნაქარგები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე, ხაშურში, კინოთეატრის შენობაში გამოფინა. მისი ხელნაკეთი ნამუშევრები წარმოდგენილია ბორჯომლობაზეც, ბაკურიანშიც და, რაც მთავარია, ხაშურლობის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებზეც. ქრისტინეს ერთი ოცნებაც აქვს:

- ჩემი ოცნებაა ხაშურში მქონდეს ძაფების, მძივების მაღაზია. ასეთი მაღაზია ჩვენს რაიონში არ არის.

ვოცნებობ, გავაკეთო მაღაზია, სადაც ასევე, შეიძენ ხელნაკეთ ნივთებსაც... სულ მაქვს ეს სურვილი... ხელსაქმეში ჩემი ოჯახის წევრებიც მეხმარებიან, ძირითადად მასალებით. მაგალითად, ჩემი მეუღლე საზღვარგარეთიდან აუცილებლად ბრუნდება ერთი ყუთი მულინა ძაფებით. მინდა, რომ მეტი ყურადღება მიექცეს ხელსაქმეს და ეს სფერო მეტად გააქტიურდეს. ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც დაკავებულია ხელსაქმით, თუმცა, ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ, არ ხდება ერთმანეთთან იდეების გაზიარება.

ქრისტინე საქარგავი მასალებით თბილისიდან მარაგდება. ოცნებაც ამიტომ აქვს. მის ოცნებაზე ინტერვიუში ზემოთ გესაუბრეთ. საქარგავად ახალგაზრდა ქალი მეწარმე ძირითადად ტილოს, მულინას გამოიყენებს. ჩარჩოებს ნამუშევრებისათვის ქალბატონი ნინო ღონღაძე უმზადებს. მადლიერაბს არ იშურებს გაწეული შრომისათვის ქალბატონ მანანა თედიაშვილისათვის.

ხელსაქმის შესახებ ისტორიული ექსკურსით თავი ტყუილად არ შეგაწყინეთ. ეს უძველესი, ისტორიული საქმე ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობაა, სიმდიდრეა და ქარგვით, ქსოვით დაკავებული თითოეული ახალგაზრდა ქალი მეწარმე ჩვენი ქვეყნისათვის, ქალაქისათვის ძვირფასი და გასაფრთხილებელი განძია. წარმატებები ქრისტინე ჯელაძეს და ვუსურვებთ ხელსაქმის პროფესიულ გაფართოებას და განვითარებას .

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.